

საქართველოს კანონი

„საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი №13-14, 8.04.98 წ) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები.

1. მე-18 მუხლის "ლ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ. ფიზიკური პირის მიერ ერთი დღე-ღამის განმავლობაში:

ლ.ა. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 06, 07, 08, 19 ჯგუფებისა და 0401–0406, 1601, 1702–1704, 2101–2102 სასაქონლო პოზიციების შესაბამისი ჯამური თანხით 200 ლარამდე ღირებულების, მაგრამ ჯამური წონით არაუმეტეს 5 კგ. კვების პროდუქტების იმპორტი.

ლ.ბ. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 28–96 ჯგუფების შესაბამისი 300 ლარამდე ღირებულების, 50 კგ-მდე საერთო წონის, არაერთგვაროვანი, პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის იმპორტი.

ლ.გ. ორი ლიტრი ყველა სახის ალკოჰოლური სასმელის და 200 ლერი სიგარეტის იმპორტი (გარდა 18 წლამდე ასაკის პირის მიერ იმპორტირებულისა);

ლ.დ. უცხოეთში ყოველ 6 თვეზე მეტი ხნით ყოფნის შემდეგ, საქართველოში შემოსული პირის მიერ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 28–96 ჯგუფების შესაბამისი 1500 ლარამდე ღირებულების, 250 კგ-მდე საერთო წონის, არაერთგვაროვანი, პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის იმპორტი.

ლ.ე. საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემოსვლისას ფიზიკური პირის მიერ პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის (მათ

შორის ავეჯის, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის, ოჯახზე ერთი სატრანსპორტო საშუალების) იმპორტი.”

2. მე-20 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. 2007 წლის 1 იანვრამდე თამბაქოს ნაწარმის (ნედლეულის გარდა) იმპორტი საბაჟო გადასახადით არ იბეგრება. თამბაქოს ნაწარმისათვის ნედლეული („ტრაპზონის“ ჯიშის თამბაქოს გარდა) 2006 წლის 31 დეკემბრამდე საბაჟო გადასახადით არ იბეგრება.“;

ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ბუნებრივი აირისა და ელექტროენერჯის იმპორტი 2007 წლის 1 იანვრამდე საბაჟო გადასახადით არ იბეგრება.“.

3. მე-20 მუხლის მე-7-მე-9 პუნქტები ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2006 წლის 1 იანვარიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი